ქართული ანიმაციური ფილმები
ესკიზის შექმნა სიმღერის მიხედვით

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

აქტივობა N 1

დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები ისმენენ მუსიკალურ ფრაგმენტს[1] ანიმაციური ფილმიდან „მეფე და ჩიტი“, რომლის მუსიკის ავტორია ვახტანგ კახიძე და ასრულებენ ავტორი და მისი და, თეონა კახიძე.

ვახტანგ კახიძე "მეფე და ჩიტი" / Vakhtang kakhidze "The King and The Bird"

მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს ატყობინებს, რომ ეს სიმღერა ანიმაციური ფილმისთვისაა შექმნილი. სთავაზობს, წარმოიდგინონ, რის შესახებაა მოსმენილი მუსიკა შექმნან ნახატები, ეს შეიძლება იყოს პერსონაჟი, პეიზაჟი, ინტერიერი, კომპოზიცია მათთვის სასურველი ტექნიკითა და მასალით.

აქტივობა N 2

ხატვის პროცესის დასრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებს სრულად ანახებს ანიმაციურ ფილმს.

მეფე და ჩიტი | ქართული მულტფილმი 1080p

მოსწავლეებს ეძლევათ მცირე დრო შექმნილი ნახატების გააზრებისათვის, შემდეგ აწყობენ განხილვას.

[1] მასწავლებელს შეუძლია, თავად შეარჩიოს ფილმი

აქტივობა N 3

მოსწავლეები[2] წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, აღწერენ,

- რა შთაბეჭდილება შეუქმნათ ფილმისთვის დაწერილმა სიმღერამ, რომელიც ფილმისგან დამოუკიდებლად მოისმინეს ავტორის შესრულებით და რა გადმოსცეს;

შემდეგ საუბრობენ იმაზე,

- თუ შეეცვალათ წარმოდგენა ფილმის ნახვის შემდეგ, როგორ ნამუშევარს შექმნიდნენ ან რას შეცვლიდნენ არსებულში.

პრეზენტაციების შემდეგ ამ და სხვა მაგალითზე განიხილავენ ანიმაციაში მუსიკის მნიშვნელობას.

[2] წარდგენა ნებაყოფლობითია. ნახატი, შესაძლებელია, გამოიფინოს საკლასო ოთახში წარდგენის გარეშე